



MES 0 22 0000797954



13/07/2022

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების  
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში 2022 წლის 29 ივნისს. სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting

[https://drive.google.com/drive/folders/1GNI2DZFooz6\\_FCQ8KBxP7rFbKP4x7RCI?usp=sharing](https://drive.google.com/drive/folders/1GNI2DZFooz6_FCQ8KBxP7rFbKP4x7RCI?usp=sharing)

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:**

**მარიამ ქუჩულორია** - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

**თორნიკე ჯობავა** - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

**გიორგი გამყრელიძე**-საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**თამაზ ბახტაძე** - სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს კოორდინატორი (პროფესიული განათლების) (საბჭოს წევრი);

**მარიკა ზაქარაიშვილი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - „კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს წევრი) - სხდომის მდივანი;

**ნატო მებურიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**თამარ ჯაფარიძე** - სსიპ - აწარმოე საქართველოში ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი (საბჭოს წევრი);

**გიორგი ვეკუა** - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი).

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ლანა გაჩეჩილაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

**დაწესებულების წარმომადგენლები:**

**სსიპ კოლეჯი „ბლექი“:**

გიორგი გოგიტიძე - დირექტორი;

ინგა ლომთათიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი;

მანანა კობალაძე - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი.

**შპს „ქართული ღვინის გილდია“:**

მარიამ ხომასურიძე - თანადამფუძნებელი;

ნინო თექთუმანაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი;

ლევან უჯმაჯურიძე - პროფესიული გადამზადების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული ორგანიზაციის, „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ დირექტორი;

ლიანა ზუბაშვილი - პროფესიული გადამზადების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული კომპანიის „მატო ზეგანის“ დირექტორი.

**შპს ორიენტირი:**

რამაზ მაჭარაშვილი - დირექტორი;

ნონა ფანჯიკიძე - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსი;

**სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი:**

სერგო სვანაძე - პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელი;

ნანა შარაბიძე - პროფესიული და უწყვეტი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;

ხათუნა რუსაძე - პროგრამის განმახორციელებელი პირი;

ნანა ჯულაყიძე - პროგრამის განმახორციელებელი პირი.

**პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:**

მანანა მოისწრაფიშვილი,

მზია ბერუაშვილი,

თათია გივიშვილი,

თეა ბაქრაძე.

**საბჭოს სხდომა დაიწყო 11:10 საათზე**

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“ /00534/ „ელექტროსამონტაჟო სამუშაოები შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე“ პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
2. შპს ქართული ღვინის გილდიისთვის „მევენახეობა“ /01348/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
3. შპს ორიენტირისთვის „გერიატრიული ასისტენტი“ /01379/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ /01363/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

**1. სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“ /00534/ „ელექტროსამონტაჟო სამუშაოები შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე“ პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას. ასევე ისაუბრეს და დაადგინეს, რომ შუამდგომლობა ან აცილება საბჭოს წევრების მიმართ არ არსებობს.

საკითხის განხილვის დაწყებამდე ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ №131 დადგენილებაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ ცენტრმა დაამტკიცა გეგმიური მონიტორინგის გეგმა და პირველი ვიზიტი განხორციელდა აღნიშნულ დაწესებულებაში. მან დასძინა, რომ გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში განხორციელდება 6 ვიზიტი მიმდინარე წლის ბოლომდე.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა მანანა მოისწრაფიშვილმა. მან აღნიშნა, რომ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 20 მაისის N 521744 ბრძანების საფუძველზე ექსპერტმა მანანა მოისწრაფიშვილმა და ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა ნინო სტეფანიშვილმა სსიპ კოლეჯი "ბლექსის" მიერ განხორციელებული / დასრულებული პროფესიული მომზადების პროგრამის "ელექტროსამონტაჟო სამუშაოები შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე" მთავრობის N131 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის უფლების მოპოვების სტანდარტების“- პროფესიული მომზადებისა და

პროფესიული გადამზადების პროგრამის ადმინისტრირების სტანდარტთან (მესამე სტანდარტი) შესაბამისობის დადგენის მიზნით, 2022 წლის პირველ ივნისს, განახორციელეს გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი ქ. ბათუმში.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს შეფასდა მესამე სტანდარტი.

დარგის ექსპერტმა, მანანა მოისწრაფიშვილმა, საბჭოს წევრებს და დამსწრეებს გააცნო პროგრამის პარამეტრები, აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე -სამი. პროგრამის ხანგრძლივობა- 13 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა -30.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

**3.1 ქვესტანდარტთან** დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ სსიპ კოლეჯი „ბლექსი“ აცნობიერებს საკუთარ როლს და ადგილს კოლეჯის მისიით განსაზღვრულ პრიორიტეტულ დარგებში, მათ შორის სამშენებლო მიმართულებაში, საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხიან განხორციელებაში, ხოლო ხედვაში დაზუსტებული აქვს, რომ განათლებას იგი საზოგადოებას სთავაზობს როგორც გრძელვადიანი საგანმანათლებლო პროგრამებით, ასევე, მსმენელებს - მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროგრამებით, რაც ხელს შეუწყობს მათ ეფექტიან დასაქმებას. ამავე დროს, კოლეჯი აცნობიერებს, რომ მისი როლია მაღალმთიან აჭარაში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოს, რომლის ეფექტური გზაა მოკლევადიანი პროგრამებით კადრების მომზადება. სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ სტრატეგიული განვითარების გეგმაში 2019-2026 წლებისთვის გათვალისწინებულია ყოველწლიურად პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებზე სწავლების განხორციელება, დამსაქმებელთა ჩართვა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და/ან დანერგვის პროცესში.

გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში განსახილველი სსიპ კოლეჯი "ბლექსის" მიერ განხორციელებული/დასრულებული პროფესიული მომზადების პროგრამით "ელექტროსამონტაჟო სამუშაოები შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე" გათვალისწინებული საკითხები განეკუთვნება მშენებლობის სფეროში განსახორციელებელი სამუშაოების ჩამონათვალს და ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვესტანდარტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და კოლეჯი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში.

**3.2 ქვესტანდარტთან** დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების განსაზღვრისთვის სსიპ კოლეჯში „ბლექსი“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის ბრძანების N 71/ნ საფუძველზე შემუშავებულია სამშენებლო მიმართულებით განსახორციელებელ პროფესიული მომზადების პროგრამებზე მსმენელთა ჩარიცხვის წესი (დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით თითოეულ მიმართულებაზე დირექტორის ინდივიდუალური აქტით მტკიცდება კონკრეტული წესი), რომელშიც განსაზღვრულია ზოგადი დებულებები, აპლიკანტთა რეგისტრაციის გამოცხადება, აპლიკანტთა შერჩევა, სსსმ და შშმ მქონე აპლიკანტთა შერჩევა, საკონკურსო კომისიის ფორმირებისა და მუშაობის წესი, აპლიკანტთა შეფასების/პრაქტიკული მოსინჯვის პროცესი, აპლიკანტთა საკონკურსო სიის შედგენა და აპლიკანტისთვის პროფესიული მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების სტატუსის მინიჭება, სსსმ და შშმ მქონე აპლიკანტებისთვის პროფესიული მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მინიჭება, მსმენელთა ჩარიცხვა, დარჩენილი თავისუფალი ადგილის შევსება. ხოლო სსიპ კოლეჯი „ბლექსის“ დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის N01-02/139 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-12 მუხლის „კოლეჯის პროფესიული მომზადების პროგრამაზე/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე/ტრენინგ-კურსზე/ცალკეულ მოდულზე/cisco-ს ქსელური აკადემიის სასწავლო

კურსზე ჩარიცხვის წესი ავსებს ყველა იმ მოთხოვნას, რასაც ითვალისწინებს მინისტრის შემოხსენებული ბრძანება. გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში განსახილველი სსიპ კოლეჯი "ბლექის" მიერ განხორციელებული/დასრულებული პროფესიული მომზადების პროგრამით "ელექტროსამონტაჟო სამუშაოები შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე" 2019 წლიდან დღემდე შემოაღნიშნული წესის დაცვით ჩარიცხულია 91 მსმენელი, რომელთაგანაც სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი მიღებული აქვს 77 მათგანს (2019 წელს ჩაირიცხა 27 პირი, 2020 წელს - 49 პირი, 2021 წელს - 15 პირი).

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების მიერ მსმენელთა შერჩევის პროცედურების დაცვის დადასტურების მიზნით გადამოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია, დირექტორის ბრძანებები, კომისიის ოქმები, კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე დაწესებულების დადგენილ ჩარიცხვის წესთან და პირობებთან.

**3.3 ქვესტანდარტი** - სსიპ კოლეჯი „ბლექი“ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას ახდენს როგორც ვებგვერდის და სოციალური ქსელის მეშვეობით, ასევე, სპეციალურად აღნიშნულ საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ დაგეგმილი აქტივობებით. კერძოდ, პროფესიული მომზადების გადამზადების პროგრამებისა და არსებული სერვისების შესახებ ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი ინფორმაციას განათავსებს მომზადება გადამზადების ოფიციალურ Facebook გვერდზე (პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამა - trt program).

ვიზიტის ფარგლებში პროფესიული მომზადების პროგრამის „ელექტროსამონტაჟო სამუშაოები შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე“ კურსდამთავრებულებმა გასაუბრების ფარგლებში დაადასტურეს, რომ მათ დაწესებულების ვებგვერდიდან და სოციალური ქსელის გვერდიდან მიიღეს სანდო და უტყუარი ინფორმაცია. აღნიშნული ადასტურებს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას.

**3.4 ქვესტანდარტი** - სსიპ-კოლეჯი „ბლექის“ დირექტორის 2021 წლის 7 დეკემბრის N01-02 3/5 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების, დამტკიცების პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილების შეტანის წესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის შესახებ“. სსიპ კოლეჯში „ბლექი“ პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით შექმნილია ინსტრუმენტი, რომლის გამოყენებით 2021 წლის 29 ნოემბერს განხორციელებულია პროფესიული მომზადების პროგრამის - „ელექტროსამონტაჟო სამუშაოები შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე“ შეფასება ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი. დაწესებულებამ წარმოადგინა შეფასების ანგარიში. ამავე დროს, კოლეჯის ყველა თანამშრომლის სამუშაო აღწერილობებში გაწერილია მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი აქტივობების განხორციელების ვალდებულება, ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს მსმენელთა კმაყოფილების კვლევას, ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში დაგეგმავს შესაბამის განვითარების/გაუმჯობესების ღონისძიებებს. საერთო ჯამში, სსიპ კოლეჯი „ბლექი“ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისათვის იყენებს არსებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებს, რომელიც დაფუძნებულია ციკლურ მოდელზე „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გაუმჯობესე“. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა დროს განხორციელებული პროფესიული მომზადების პროგრამისათვის „ელექტროსამონტაჟო სამუშაოები შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე“ კურსდამთავრებულებთან გასაუბრება, რომლებმაც დაადასტურეს კოლეჯის მიერ დადგენილი წესით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, პროგრამაზე რეგისტრაციის, ჩარიცხვის პროცედურების დაცვის, ხარისხიანი და ეფექტური განათლების მიღება და შემდგომში მისი პრაქტიკული გამოყენება. მათ ასევე ისაუბრეს, რომ დაწესებულების მხრიდან მოხდა მათი

კმაყოფილების შეფასება. შესაბამისად, დასტურდება, რომ დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს.

**3.5 ქვესტანდარტი** - სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის კოორდინირებით რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში tvet.emis.ge ასახავს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების განხორციელების შესახებ ინფორმაციას. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმებული იქნა მისი შევსების სისრულე პროფესიული მომზადების პროგრამისათვის „ელექტროსამონტაჟო სამუშაოები შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე“ ოთხივე მიღების შემთხვევაში, რითიც დადასტურდა, რომ დაწესებულება კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას.

**3.6 ქვესტანდარტი** - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი პროგრამის დასრულების შემდგომ ამზადებს პროგრამულ ანგარიშს, მოცემული პროფესიული მომზადების პროგრამისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტში წარსადგენად. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების Eflow-ს საშუალებით ანგარიშის წარდგენის ვადები (წერილები N308379, 01.10.2019; N357979, 01.05.2020; N429405, 29.04.2021; N19610, 13.01.2022) შემოწმების შედეგები და დადგინდა, რომ დაწესებულება თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას.

**3.7 ქვესტანდარტი** - სსიპ კოლეჯი „ბლექსის“ დირექტორის მიერ 2020 წლის 2 მარტის N01-02/42 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის სერთიფიკატების ნიმუშებისა და სერთიფიკატების ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი“, რომელიც შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 მაისის N 99/ნ ბრძანების მოთხოვნებს და მის საფუძველზე ხორციელდება კოლეჯის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტის დადგენილი ფორმით დამზადება და გაცემა.

კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი გაიცემა შესაბამისი ორენოვანი დანართით, თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციით დანართის მომზადება განსაზღვრული აქვს ზრდასრულთა განათლების კოორდინატორს, ხოლო სერთიფიკატის გაცემაზე (ელექტრონულ ბაზაში ატვირთვა) პასუხისმგებელია რეესტრის წარმოების სპეციალისტი. ვიზიტზე შემოწმდა tvet.emis.ge ატვირთული სერთიფიკატები და დანართები შესაბამისად, დასტურდება, რომ დაწესებულება გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს კოლეჯის საქმიანობის კარგად წარმოჩენისა და თანამშრომლობისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“ /00534/ „ელექტროსამონტაჟო სამუშაოები შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე“ პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 8**

**წინააღმდეგი: 0**

## **გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კოლეჯ „ბლექსში“ (ს/კ: 245610398) „ელექტროსამონტაჟო სამუშაოები შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე“ პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

## **2. შპს ქართული ღვინის გილდიისთვის „მევენახეობა“ /01348/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას. ასევე ისაუბრეს და დაადგინეს, რომ შუამდგომლობა ან აცილება საბჭოს წევრების მიმართ არ არსებობს.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა მზია ბერუაშვილმა. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 30 მარტს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოვიდა განაცხადი პროფესიული გადამზადების პროგრამაზე - „მევენახეობა“ უფლების მოპოვების შესახებ. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 25 მაისის №543564 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ნათია მჭედლიძემ და დარგის ექსპერტმა მზია ბერუაშვილმა შეისწავლეს პროფესიული გადამზადების პროგრამის „მევენახეობის“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი.

დარგის ექსპერტმა მზია ბერუაშვილმა საბჭოს წევრებს და დამსწრეებს გააცნო პროგრამის პარამეტრები. აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა-12 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა-27.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, დარგის ექსპერტის მიერ რეკომენდაციები არ გაცემულა.

დარგის ექსპერტი თავის პრეზენტაციაში შეეხო სამივე სტანდარტის ქვესტანდარტებს.

**1.1 ქვესტანდარტთან** დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობა ქვეყნის ისტორიულად, კულტურულად და ეკონომიკურად პრიორიტეტული დარგია, რასაც ადასტურებს როგორც ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ინტერესი ამ სფეროს მიმართ, ისე საერთაშორისო საზოგადოების გამოხმაურებები და შეფასებები. აღნიშნულიდან გამომდინარე შრომის ბაზარზე მოთხოვნა კი საკმაოდ დიდია ამ დარგის კვალიფიციური სპეციალისტების მიმართ. ამდენად, „მევენახეობის“ გადამზადების პროგრამის წარმოდგენა საკმაოდ

აქტუალურია. ამ პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება დაწესებულებას მიღებული აქვს მტკიცებულებებზე დაყრდნობით და სათანადოდაა დადასტურებული.

დაწესებულება ეყრდნობა ქვეყანაში მოქმედ კანონს „ვაზისა და ღვინის შესახებ“. მის მიერ წარმოდგენილი დასაბუთება ადასტურებს კვალიფიციური კადრის მოთხოვნას მევენახეობაში და ცხადყოფს, რომ შემოთავაზებული პროგრამის დამატება მნიშვნელოვანი იქნება მცირე წარმადობის მარნის მფლობელთათვის და ამ სფეროში კვალიფიკაციის ამაღლების მსურველთათვის.

**1.2 ქვესტანდარტი** დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდება „მევენახეობა“ სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს. პროგრამის სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი და მისი სახელწოდება, მიზანი, შინაარსი და შედეგები ლოგიკურ ბმაშია ერთმანეთთან.

დარგის ექსპერტმა განიხილა სხვა ქვესტანდრტებიც, კერძოდ

**1.3 ქვესტანდარტი** - პროგრამის მიზანი მკაფიოდაა ჩამოყალიბებული და ითვალისწინებს ვენახის გაშენებას და მოვლას ტერუარის თავისებურების გათვალისწინებით, აგროტექნიკური და ფიტოტექნიკური ღონისძიებების განხორციელებას, ვაზის მავნებელი დაავადებებისგან ინტეგრირებულ დაცვას. პროგრამის მიზანია, მისცეს მსმენელს ხარისხოვანი ყურძნის მოყვანისათვის საჭირო პრაქტიკული ცოდნა, რათა კურსდამთავრებულმა შეძლოს დასაქმება და/ან მევენახეობის საკუთარი ბიზნესის განვითარება.

**1.4 ქვესტანდარტი** - „მევენახეობის“ გადამზადების პროგრამის დაშვების წინაპირობაა აპლიკანტს ჰქონდეს ცოდნა სოფლის მეურნეობის, სასურსათო ტექნოლოგიის ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით, შესაბამისად პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებას მსმენელთა ჩარიცხვის პროცედურები გაწერილი აქვს და წარმოდგენილი აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია. ასევე მითითებულია, რომ პროგრამაზე მსმენელთა შერჩევის ფორმა არის გასაუბრება.

**1.5 ქვესტანდარტი** - სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონეს.

**1.6 ქვესტანდარტი** - პროგრამიდან ნათლად ჩანს, თუ რა კონკრეტულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს შეიძენს მსმენელი, როგორ გააცნობიერებს მიღებულ ცოდნას და როგორი პასუხისმგებლობით მოეკიდება საქმიანობას რეალურ სამუშაო გარემოში (ფერმერული მეურნეობები ან მევენახეობის საკუთარი ბიზნესი).

დაკისრებული სამუშაოების შესრულებას კურსდამთავრებული შეძლებს სრულიად დამოუკიდებლად.

**1.7 ქვესტანდარტი** - პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა შეესაბამება მსმენელის კვირეულ სასწავლო დატვირთვას და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შექმნის დროს გათვალისწინებულია მსმენელთა გარკვეული ინდივიდუალური საჭიროებები.

**1.8 ქვესტანდარტი** - პროგრამის განმახორციელებელი პირი სწავლების პროცესს წარმართავს სწავლების თანამედროვე მეთოდების (ინტერაქტიული ლექცია, სასწავლო ექსკურსია, დემონსტრირება, პრაქტიკული მეცადინეობა) და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით როგორც დაწესებულებაში, ისე პრაქტიკის ობიექტზე, რომლებიც ხელს უწყობენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

**1.9 ქვესტანდარტი** - პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და ორიენტირებულია პროფესიული პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულ 2 სუბიექტთან (სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი და შპს „მატო ზეგაანი“), რაც მაქსიმალურად დაეხმარება მსმენელებს პრაქტიკული უნარების შექმნაში. ხელშეკრულებებში განსაზღვრულია მხარეთა (დაწესებულებისა და



პრაქტიკის ობიექტების) უფლება-მოვალეობები, პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგების, მათი მიღწევისა და დადასტურების უზრუნველსაყოფად საჭირო კოორდინაციის საკითხები და ასევე მისაღებ მსმენელთა რაოდენობა.

**1.10 ქვესტანდარტი** - „მევენახეობის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის შედეგების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებისთვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები: გამოკითხვა და პრაქტიკული დავალება დაკვირვებით. მსმენელის შეფასების სისტემაში მითითებული მეთოდები შესაფასებელი სწავლის შედეგის ადეკვატურია. დაწესებულების წარმოდგენილ დოკუმენტებში გაწერილია, თუ როგორ მოხდება მსმენელების შეფასება და ჩანს, რომ შეფასება წარიმართება 100 ქულიანი სისტემით, შუალედურ და დასკვნითი (დამატებითი) გამოცდის შედეგად შეჯამებული ქულების საფუძველზე. ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ვალიდურია, სანდო და სამართლიანი და საშუალებას იძლევა, დადგინდეს, მიაღწია თუ არა მსმენელმა პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. მსმენელი ინფორმირებულია პროგრამის ფარგლებში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციების/წესის შესახებ.

**2.1 ქვესტანდარტი** - განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია და გამოცდილება შესაბამისობაშია მათ ფუნქციებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამის განმახორციელებელ პირებს აქვთ უმაღლესი განათლება სოფლის მეურნეობის სფეროში, ხოლო 3 მათგანს ამავე დროს აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი, ასევე გააჩნიათ პრაქტიკული მუშაობის ხანგრძლივი და მრავალმხრივი გამოცდილება, როგორც ზოგადად სოფლის მეურნეობაში, ისე უშუალოდ მევენახეობის სფეროში და დასტურდება შესაბამისი დიპლომებითა და სერტიფიკატებით.

შრომითი ხელშეკრულებები შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და მათი შინაარსი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

**2.2 ქვესტანდარტი** - დაწესებულების საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსი (უძრავი, მოძრავი ქონება და ინვენტარი) ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაციას და სრულად შეესაბამება პროგრამის განხორციელების მოთხოვნებს. ასევე პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულებას ცალკე აქვს გამოყოფილი „მევენახეობის“ პროგრამის მსმენელებისათვის სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო აუდიტორია.

ვიზიტის დროს განხორციელდა არსებული მატერიალური რესურსის დათვალიერება.

**2.3 ქვესტანდარტი** - პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი სრულად უზრუნველყოფს მსმენელთა საჭიროებების დაკმაყოფილებას და წარმოდგენილია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული რესურსების სახით. ბიბლიოგრაფიაში დასახელებული ძირითადი ლიტერატურა ქართულენოვანია. როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ბეჭდური და ელექტრონული რესურსის მოძიება მსმენელს შეუძლია დაწესებულების ბიბლიოთეკაში.

**2.4 ქვესტანდარტი** - დაწესებულებას შექმნილი აქვს სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის შესაბამისი გარემო; აქვს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ; გააჩნია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარი და სამკურნალო საშუალებები, რომლებიც ვარგისია გამოყენებისათვის.

დარგის ექსპერტმა პრეზენტაციის დასრულების შემდეგ აღნიშნა, რომ **1.6 ქვესტანდარტთან** და კავშირებით გაიცა რეკომენდაცია, კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგები ვრცლადაა წარმოდგენილი, სასურველია რომ სწავლის შედეგები უფრო ლაკონურად, მკაფიოდ და მოკლედ იყოს წარმოდგენილი.

მან ასევე წარმოადგინა სასწავლო გარემოს და პრაქტიკის ობიექტების ფოტოები, ორგანიზაციას აქვს ყველანაირი მატერიალური რესურსი აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. მარიკა ზაქარეიშვილი დაინტერესდა პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა უფრო კონკრეტული სახელწოდება ჰქონოდა აღნიშნულ პროგრამას და არ იმეორებდეს პირდაპირ ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდებას. დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ ხომასურიძემ პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ყველა ის ღონისძიება, რომელიც ამ პროგრამის განხორციელებისთვის იყო გათვლილი, პირველ რიგში ორიენტირებული იყო ხარისხზე, მისი თქმით, ისინი, აღნიშნულ პროგრამას, უკვე რამდენიმე წელია ახორციელებენ არაფორმალურად, მაგრამ არ ჰქონდათ წარმოდგენილი განხორციელების უფლების მოსაპოვებლად ცენტრში. მარიამ ხომასურიძემ, ასევე, აღნიშნა, რომ მისი მიზანია დაეხმაროს იმ მეწარმეებს, რომლებიც უკვე არიან მევენახე-მეღვინეები და აიმაღლონ კვალიფიკაცია, რადგან თანამედროვე ბაზრის მოთხოვნები, ღვინის ქარხნების მიმართ დაწესებულ მოთხოვნებთან იზრდება. მან იქვე აღნიშნა, რომ მისთვის ცნობილია პროფესიულ მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების პრინციპი და მათ შორის სხვაობა.

მარიკა ზაქარეიშვილმა საპასუხოდ აღნიშნა, რომ თუ პროგრამა იძლევა სრულ კვალიფიკაციას, მაშინ ის სადიპლომო პროგრამაა და არა გადამზადების, თუ პროგრამა არის გადამზადების, მისი არსიდან გამომდინარე კვალიფიკაციის გარკვეულ ნაწილს უნდა ფარავდეს. ვინაიდან წამოდგენილი „მევენახეობის“ პროგრამა გადამზადების პროგრამაა, სასურველია, სრული საკვალიფიკაციო პროგრამის სახელს არ იმეორებდეს. მან ისაუბრა მომზადება-გადამზადების პროგრამის ბუნებაზე და მისი თქმით, ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდების გამეორებით მომზადება-გადამზადების პროგრამების სპეციფიკა და არსი დარღვეულია.

მარიამ ხომასურიძემ საპასუხოდ აღნიშნა, რომ ქართულ საზოგადოებაში, დამკვიდრებულია გარკვეული ტერმინოლოგია, მევენახეობასა და მეღვინეობაში, მისი თქმით სახელწოდების შეცვლა მომავალში დააზარალებს პროგრამას, მსმენელთა დაინტერესებისა და მარკეტინგის კუთხით. მან ასევე განმარტა, რომ პროგრამის სახელწოდების შეცვლა და სახელწოდება - ვენახის მოვლა - დააზარალებდა აღნიშნულ პროგრამას. დარგის ექსპერტმა მზია ბერუაშვილმა აღნიშნა, რომ მართალია სახელწოდება მსგავსია საკვალიფიკაციო პროგრამის სახელწოდებისა, მაგრამ ვინაიდან არ არის შემუშავებული ცენტრის მიერ დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, არამედ, პროგრამა შემუშავებულია „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ამდენად ის არ იმეორებს საკვალიფიკაციო პროგრამის სახელწოდებას.

ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ, აღნიშნა, რომ „მევენახეობა“ /01348/ პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელთან დაკავშირებით, ცენტრსაც ჰქონდა გარკვეული კითხვები და შპს ქართული ღვინის გილდიის დამფუძნებელს სთხოვა დაეზუსტებინა, რომ თუ „მევენახეობის“ გრძელვადიანი პროგრამის სახელი და სწავლის შედეგები გარკვეულწილად იგივეა, რაც მოკლევადიანი პროგრამის, მაშინ რა ისწავლება და რა არის განსხვავება მათ შორის, თუმცა დამაკმაყოფილებელი პასუხი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვერ მიიღეს, დასძინა, რომ ცოტა გაუჭირდა პოზიციის დასაბუთება, თუმცა რადგანაც დარგის ექსპერტი ამბობს და ასევე ორგანიზაციის წარმომადგენელი დამკვიდრებული პრაქტიკიდან აფიქსირებს, შესაძლებელია, ეს სახელწოდება ერქვას აღნიშნულ პროგრამას.

საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა პრობლემის უკეთ წარმოსაჩენად კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ გადამზადების პროგრამების პრინციპიდან გამომდინარე, რომელიც ემსახურება

ახალი უნარების დამატებას უკვე სფეროში არსებული ადამიანებისათვის, ამიტომ არის ეს ახალი მიმართულება პროფესიულ განათლებაში და განსხვავდება საკვალიფიკაციო პროგრამების მიმართულებისგან. არ შეიძლება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელს იმეორებდეს მოკლევადიანი გადამზადების პროგრამა.

საბჭოს წევრმა გიორგი გამყრელიძემ მიმართა საბჭოს წევრებს და ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომ ყველაფერი მარტივად გასაგები იყო, მან დასძინა, რომ სრულად იზიარებდა მარიკა ზაქარეიშვილის პოზიციას, ასევე მნიშვნელოვანია, რომ მომზადება/გადამზადების კუთხით უფრო მეტი კონკრეტულობა იყოს, ვინაიდან პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამები ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების შეძენაზე. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა განმარტება ცენტრის წარმომადგენელს, ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ მსჯელობიდან და არგუმენტებიდან, ასევე დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე განმარტა, რომ შესაძლებელია ერქვას პროგრამას ეს სახელწოდება.

დისკუსიის შემდეგ საბჭო გავიდა სათათბიროდ.

სათათბიროდან დაბრუნების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე საზოგადოებას, რომ საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, იურიდიულ პირს მიეცეს ერთთვიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად და აღნიშნა, რომ სამწუხაროა ასეთი შემთხვევის დაფიქსირება, ვინაიდან სახელწოდების საკითხი დასკვნაში ხარვეზად არ იყო დაფიქსირებული დარგის ექსპერტის მიერ, რაც არ იყო საბჭოს აზრით სწორი მიდგომა, საბჭომ მსჯელობის საფუძველზე ეს საკითხი ხარვეზად მიიჩნა და მიზანშეწონილად ჩათვალა პროგრამის სახელწოდების დაზუსტება, რისთვისაც დაწესებულებას უნდა მიეცეს ერთ თვიანი ვადა.

ნანი დალაქიშვილმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ იღებდა საბჭოს რეკომენდაციას, დასძინა, რომ ცენტრი დაეყრდნო დარგის ექსპერტის შეფასებას, რის მიხედვითაც დასკვნა იყო სრულად დადებითი, შესაძლოა ექსპერტმა ამ საკითხებზე ყურადღება არ გაამახვილა, თუმცა დარგის ექსპერტები იმიტომ არიან, რომ სრულყოფილად შეისწავლონ პროგრამა, კერძოდ მიზანი, სწავლის შედეგები და თემატიკა, სახელწოდება თანხვედრაში არის თუ არა სწავლის შედეგებთან. საბჭოს მსჯელობის დროს კიდევ ჩავხედე პროგრამას, აღნიშნა სამსახურის უფროსმა, ჩანს რომ ექსპერტის მხრიდან ცოტა ზედაპირულად არის შეფასებული, რადგანაც ისეთი შედეგებია მისაღწევი, რომ საკვალიფიკაციო პროგრამას უფრო გავს, ვიდრე მომზადება/გადამზადების პროგრამას, მისი აზრით პროგრამის ხანგრძლივობა 12 კვირა არ არის საკმარისი, თუმცა აქვე დასძინა, რომ ეს მისი პირადი მოსაზრებაა და არა ექსპერტული შეფასება. ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ მხარს უჭერდა ერთთვიანი ვადის მიცემას და მოხდებოდა ერთი თვის შემდეგ წარმოდგენილი პროგრამის საფუძველზე დამატებითი შესწავლა.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, შპს ქართული ღვინის გილდიისთვის (ს/კ: 405297423) საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადაში პროფესიული გადამზადების პროგრამის -მევენახეობა /01348/ -ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 8**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება :**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული

პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ქართული ღვინის გილდიას (ს/კ: 405297423) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული გადამზადების პროგრამის - მევენახეობა /01348/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

### **3. შპს ორიენტირისთვის „გერიატრიული ასისტენტი“ /01379/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას. ასევე ისაუბრეს და დაადგინეს, რომ შუამდგომლობა ან აცილება საბჭოს წევრების მიმართ არ არსებობს.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 27 მაისის №548600 ბრძანების საფუძველზე დარგის ექსპერტმა თათია გივიშვილმა და მაყვალა დარსანიამ შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „გერიატრიული ასისტენტი“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2022 წლის 2 ივნისს განახორციელეს ვიზიტი შპს ორიენტირში (ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. №26).

მან ასევე საბჭოს წევრებს და დამსწრეებს გააცნო პროგრამის პარამეტრები, და აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 8 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

გაიცა რეკომენდაცია **3.4 ქვესტანდარტთან** დაკავშირებით, კერძოდ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია მსმენელების კვლევა განხორციელდეს მინიმუმ ერთხელ მსმენელთა ყოველი ნაკადის დასრულების შემდეგ. სასურველია მსმენელების კითხვარი მორგებული იყოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების სპეციფიკაზე.

დაწესებულებისთვის ასევე გაიცა რეკომენდაცია **3.7 ქვესტანდარტთან** დაკავშირებით, რომ <https://e-vet.emis.ge/>-ზე დაწესებულებას აეტვირთა სერტიფიკატები.

**1.1 ქვესტანდარტთან** დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას ელ. სისტემაში პროგრამის საჭიროების დასაბუთების ველში წარმოდგენილი აქვს შპს ორიენტირის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათი (№2304, 30/03/2022) დაწესებულების დირექტორის სახელზე. დოკუმენტის თანახმად, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, აღნიშნული პროგრამის დანერგვის დასაბუთების გასამყარებლად, ჩატარდა სამაგიდე კვლევა. კვლევის ფარგლებში, შესწავლილი იქნა, საქართველოს მთავრობის დადგენილება -,„საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია-საქართველო 020“, საქართველოს პარლამენტის დადგენილება-„საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია“, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, სხვადასხვა უცხოური და ადგილობრივი კვლევის მასალები და სხვა რესურსები. ხანდაზმული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა. დღეისათვის მთელ მსოფლიოში აღინიშნება მოსახლეობის დაბერების ტენდენცია. ამდენად,

მსოფლიო სამედიცინო საზოგადოება სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს მოსახლეობის 65 წლის ზემოთ ასაკობრივ ჯგუფში, დაბერების პრევენციის ეფექტიანი მეთოდების განხორციელებას. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში, 2021 წლისთვის, მოსახლეობის მთლიანი რაოდენობის 15.25%, 65 წლის ზემოთ ასაკობრივ ჯგუფშია. როგორც საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაშია აღნიშნული („საქართველო 2020“), ხანდაზმულთა რაოდენობა მზარდია და გაეროს მონაცემებით, მათი რაოდენობა 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის 25%-ს მიაღწევს. არასამთავრობო ორგანიზაციის „საქართველოს კარიტასის“ მონაცემებით, საქართველოში 185 000 ადამიანი საჭიროებს გრძელვადიან ზრუნვას და მკურნალობას. გერიატრიულ პაციენტებს ძირითადად ემსახურებიან „არაფორმალური მომვლელი“, არ არსებობს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა და მომსახურების სტანდარტი, შესაბამისად მათი უფლება, მიიღონ მაღალი ხარისხის სამედიცინო და სხვა სახის მომსახურება დაუცველია.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით (ბრძ. №1245105, 18/11/2021) „გერიატრიული ასისტენ-ტის“ პროფესიული მომზადების პროგრამისთვის განსაზღვრული მინიმალური სარეკომენდაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ) დამტკიცდა „გერიატრიული ასისტენტის“ პროფესიული მომზადების პროგრამისთვის განსაზღვრული მინიმალური სარეკომენდაციო მოთხოვნები, რომლის საფუძველზეც იქნა შემუშავებული წარმოდგენილი პროგრამა.

**1.2 ქვესტანდარტთან** დაკავშირებით აღინიშნა, რომ წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდებაა გერიატრიული ასისტენტი“, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს.

**1.3 ქვესტანდარტი** - წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

**1.4 ქვესტანდარტი** - პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: სრული ზოგადი განათლება, ასაკი - 18 წელი. აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა გასაუბრება. შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში.

**1.5 ქვესტანდარტი** - პროფესიული მომზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონეს. პროგრამა მსმენელს აძლევს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს.

**1.6 ქვესტანდარტი** - აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით და კომპეტენციით, მსმენელს აძლევს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს.

**1.7 ქვესტანდარტი** - პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა, მოცულობა და მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია.

**1.8 ქვესტანდარტი** - სასწავლო პროცესში გამოყენებულია სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

**1.9 ქვესტანდარტი** - პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტი. კოლეჯს საკუთარ სივრცეში აქვს მოდულების „შინმოვლა“ და „ავადმყოფის მოვლა“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი - C გარემო, რომელიც გათვლილია 21 პროფესიულ სტუდენტზე. ასევე, კოლეჯს ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს „საქართველოს კარიტასთან“, სადაც პროფესიული სტუდენტები გადიან პრაქტიკულ მოდულებს „ავადმყოფის მოვლა“ და „შინმოვლა“.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ადმინისტრაციასთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ AC გარემო განკუთვნილია მხოლოდ ამ პროფესიული მომზადების პროგრამის განსახორციელებლად, ხოლო „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის დაწესებულებას აქვს სხვა სასწავლო გარემოები. აქედან გამომდინარე აღნიშნული პროგრამის განხორციელებას ხელი არ შეეშლება.

**1.10 ქვესტანდარტი** - დაწესებულებამ ელ. სისტემაში წარმოადგინა დოკუმენტი „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების წესი“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 22 აპრილის №01/23 ბრძანებით. წარმოდგენილი დოკუმენტის მე-8 მუხლში გაწერილია, თუ როგორ ხდება მსმენელის შეფასება.

მსმენელის შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: სწავლის შედეგი დადასტურდა, სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი - განმეორებითი შეფასება მხოლოდ ერთხელ, უარყოფითი შეფასების მიღებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის შემდეგ. მსმენელის მოთხოვნის შემთხვევაში პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, უარყოფითი შეფასების მიღებიდან ხუთი კალენდარული დღის შემდეგ ნიშნავს განმეორებითი შეფასების თარიღს. განმეორებით შეფასებაზე მსმენელის არ გამოცხადება ითვლება სწავლის შედეგის ვერ დადასტურებად. სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდება პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამების მიხედვით, როგორც მასში შემავალი ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს, ასევე პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის სრულად დასრულების შემდეგ კომპლექსურად. მსმენელის შეფასება ხორციელდება სპეციალურად შექმნილ შეფასების უწყისში. პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამების წარმატებით დასრულების შემთხვევაში - მსმენელის მიერ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი. ზემოთქმულიდან გამომდინარე მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.

**2.1 ქვესტანდარტი** - წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 5 განმახორციელებელი პირი. დაწესებულებას ატვირთული აქვს ელექტრონულ სისტემაში განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, პროგრამის განმახორციელებელ პირთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლების, კვალიფიკაციისა და მიზნობრივი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებას ელექტრონულ სისტემაში ატვირთული აქვს შრომითი ხელშეკრულებები განმახორციელებელ პირებთან, გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. ამდენად პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით.

**2.2 ქვესტანდარტი** - დაწესებულების მიერ მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობაა - 15. აღნიშნული პროგრამა განხორციელდება კოლეჯის AC გარემოში. კოლეჯს საკუთარ სივრცეში აქვს მოდულების „შინმოვლა“ და „ავადმყოფის მოვლა“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი, რომელიც გათვლილია 21 პროფესიულ სტუდენტზე. თუმცა დაწესებულებას გაფორმებულია აქვს ურთიერთ-თანამშრომლობის ხელშეკრულება „საქართველოს კარიტასთან“, სადაც პროფესიული სტუდენტები გადიან მოდულებს „ავადმყოფის მოვლა“ და „შინმოვლა“. „გერიატრიული ასისტენტის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის ძირითადი ნაწილი განთავსებულია AC გარემოში, ხოლო დამატებით მატერიალური რესურსი

შეძენილია/უზრუნვეყოფილია კოლეჯის მიერ და განთავსებულია ამავე გარემოში. ამდენად, კოლეჯის AC გარემოში, რომელშიც უნდა განხორციელდეს პროგრამა „გერიატრიული ასისტენტი“, შესაძლებელია 15 მსმენელის სწავლების უზრუნველყოფა. დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა მატერიალური რესურსების შესყიდვის დოკუმენტაცია, კერძოდ: ნასყიდობის ხელშეკრულება. სასაქონლო ზედნადები ჯორჯიან მედიკალ სერვისთან, შპს თბილისი მედიკთან და შპს ჯორჯიან მედთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიული მომზადების პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**2.3 ქვესტანდარტი** - სასწავლო რესურსი წარმოდგენილია როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელთათვის ბიბლიოთეკაში და ასევე ელექტრონულად. სასწავლო რესურსები ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე. ვიზიტის დროს გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი, პროგრამაში წარმოდგენილი ყველა რესურსი არის დაწესებულებაში.

**2.4 ქვესტანდარტი** - დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტაცია მსმენელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, კერძოდ :

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობა (№8 22 00707429, 18/23/2022) - წარმოდგენილი მიწერილობის თანახმად, სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულების შენობა-ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.

**3.1 ქვესტანდარტი** - შპს ორიენტირი არის ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობის გზით, შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კვალიფიციური, კომპეტენტური, პასუხისმგებლიანი, კონკურენტუნარიანი ადამიანური რესურსის მომზადება და დასაქმების ხელშეწყობა, რაც საშუალებას მისცემს მათ, საკუთარი წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარების საქმეში. კოლეჯი ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებად, პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებაზე ჯანდაცვის, განათლებისა და ბიზნესის სფეროებში. შესაბამისად, დაწესებულება აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში.

**3.2 ქვესტანდარტი** - აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა გასაუბრება. დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი - „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების წესი“, დოკუმენტის მე-6 მუხლის 6.14 პუნქტის თანახმად კოლეჯის მიერ განხორციელებულ პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე ადგილების შეზღუდული რაოდენობის არსებობისას, კონკურსის არსებობის შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის მიერ განისაზღვრება დამატებითი პირობა/ები მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის შესაბამისად. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ „გერიატრიული ასისტენტი-ტის“ პროფესიული მომზადების პროგრამისთვის აპლიკანტთა შერჩევის კრიტერიუმები ამ ეტაპზე არა აქვს დაწესებულებას შედგენილი. შერჩევის კითხვარები შემუშავდება რეგისტრაციის დაწყებისას. ვინაიდან დაწესებულება ახორციელებს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებს, წარმოდგენილ იქნა ბრძანება დანართით შპს ორიენტირის პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე გასაუბრების ჩატარების შესახებ, სადაც გაწერილია, რომ აპლიკანტთა შერჩევის მიზნით

იქმნება კომისია, კომისიის წევრები უშუალოდ ესწრებიან გასაუბრებას და აფასებენ აპლიკანტს, დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 3 მაისის №3520 ბრძანებით, ბრძანებას ახლავს გასაუბრების კითხვარი, რის საფუძველზეც ხდება აპლიკანტების შერჩევა.

**3.3 ქვესტანდარტი** - დაწესებულებას აქვს ვებგვერდი. დაწესებულებაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონულად - დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის eflow-ს საშუალებით. შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას.

**3.4 ქვესტანდარტი** - დაწესებულებაში უფლებამოსილი პირის (დირექტორის) მიერ დამტკიცებულია კვლევის ჩატარების სახელმძღვანელო და განახლებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (ბრძ. №01/87, 13/08/2021), რითაც ისარგებლებს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებისთვისაც. საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველსაყოფად დაწესებულებაში მოქმედებს „დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლი. დოკუმენტის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემას და ახორციელებს ღონისძიებებს სასწავლო პროცესის ხარისხის სისტემატური სრულყოფისათვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარუდგენს დირექტორს კვლევის მეთოდოლოგიას და კითხვარებს. დაწესებულებაში სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა აღნიშნულ პროცესზე მუდმივი დაკვირვება და შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს წარმოადგინეს დოკუმენტი - შპს ორიენტირის კვლევის ჩატარების სახელმძღვანელო, ამ დოკუმენტის მეოთხე თავი ეთმობა მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამის მსმენელთა კმაყოფილების კვლევას - „მსმენელთა კმაყოფილების კვლევის მიზანია პროგრამაში ჩართული მსმენელების კმაყოფილების კვლევის განხორციელება, მსმენელებისგან უკუკავშირის მიღება, იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გამართლდა მათი მოლოდინები, პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით“. გამოკითხვა ხორციელდება წელიწადში ერთხელ. ამდენად, საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს.

**3.5 ქვესტანდარტი** - დაწესებულებაში ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე დაწესებულებას რეგისტრაციის გზით დამატებული აქვს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამები: სადღესასწაულო ღონისძიების დაგეგმვა, ჯანმრთელობა, ჰიგიენა და უსაფრთხოება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, სალარო ოპერაციების განხორციელება (ჯერ არ ხორციელდება), შესაბამისად დაწესებულება კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში <https://e-vet.emis.ge> ასახვას. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ დაწესებულება კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას.

**3.6 ქვესტანდარტი** - დაწესებულებაში ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამები - პროფესიული მომზადების პროგრამა „სადღესასწაულო ღონისძიების დაგეგმვა“, პროფესიული გადამზადების პროგრამა „ჯანმრთელობა, ჰიგიენა და უსაფრთხოება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში“, და პროფესიული მომზადების პროგრამა „სალარო ოპერაციების განხორციელება“ (არ ხორციელდება). შესაბამისად დაწესებულება თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას. დაწესებულებაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში - eflow.

**3.7 ქვესტანდარტი** - დაწესებულებაში ხორციელდება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამები, შესაბამისად დაწესებულებას აქვს სერტიფიკატების გაცემის



გამოცდილება. ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა დოკუმენტი - შპს ორიენტირის მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 11 ნოემბრის №01/158 ბრძანებით. ასევე შემუშავებული სერტიფიკატის ნიმუში სერტიფიკატის დანართთან ერთად. ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ გაცემული სერტიფიკატები არ იყო ატვირთული <https://e-vet.emis.ge/>-ზე, თუმცა მათ განაცხადეს, რომ აპირებდნენ გაცემული სერტიფიკატების ატვირთვას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

შპს ორიენტირის წარმომადგენელმა ნონა ფანჯიკიძემ საბჭოს წევრებს მიმართა, რომ გაცემული რეკომენდაცია სერტიფიკატების ატვირთვასთან დაკავშირებით უკვე გათვალისწინებულია და ყველა სერტიფიკატი ასახულია ელ. სისტემაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ორიენტირისთვის „გერიატრიული ასისტენტი“ /01379/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 8**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ორიენტირს (ს/კ: 200011904) მიენიჭოს უფლება განხორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - გერიატრიული ასისტენტი /01379/.

**4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ /01363/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას. ასევე ისაუბრეს და დაადგინეს, რომ შუამდგომლობა ან აცილება საბჭოს წევრების მიმართ არ არსებობს.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თეა ბაქრაძემ საბჭოს წევრებს და დამსწრეებს გააცნო პროგრამის პარამეტრები და აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მე-4. პროგრამის ხანგრძლივობა - 4 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20.

ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზი **2.4 ქვესტანდარტთან** დაკავშირებით - სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის 2022 წლის 18 თებერვლის №21 სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტის შესაბამისად დადგინდა, რომ დაწესებულების №5

კორპუსის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტის მიერ დათვალიერებულ იქნა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურის მიერ აღნიშნულ ობიექტზე სახანძრო უსაფრთხოების დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის მიზნით, თუ რა აქტივობები იქნა განხორციელებული, თუმცა ის ღონისძიებები, რომელიც სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტშია ასახული, არ არის განხორციელებული. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.

ვიზიტის დროს ასევე გაიცა რეკომენდაცია **3.7 ქვესტანდარტთან** დაკავშირებით - დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტის მიერ განხორციელდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან. დაწესებულების რეგულაციაში იკითხება ტერმინი „სასერტიფიკატო გამოცდა“, თუმცა დაწესებულების წარმომადგენელმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ ეს ტერმინი გულისხმობდა განმსაზღვრელ შეფასებას.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია დაწესებულების რეგულაციაში ტერმინი „სასერტიფიკატო გამოცდა“ გასწორდეს და შეიცვალოს განმსაზღვრელი შეფასებით.

დარგის ექსპერტმა თეა ბაქრაძემ აღნიშნა, რომ გამოვლენილი ხარვეზი დაწესებულების მხრიდან გაგებულ იქნა ადეკვატურად და დაიგეგმა შესაბამისი ღონისძიებების გატარების პერიოდი. ასევე განაცხადა, რომ საბჭოს სხდომის მიმდინარეობის პროცესში გასატარებელი ღონისძიებების მეტი ნაწილი უკვე შესრულებულია.

დარგის ექსპერტი თეა ბაქრაძე თავის პრეზენტაციაში შეეხო სამივე სტანდარტის ქვესტანდარტებს.

**1.1 ქვესტანდარტი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმოადგინა დოკუმენტი - პროფესიული გადამზადების პროგრამის - „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ დასაბუთება განხორციელების საჭიროების შესახებ“.

როგორც დოკუმენტიდან იკითხება, წარმოდგენილი პროგრამა შედგენილია ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის "ლაბორატორიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების კურსები ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში" ფარგლებში. პროგრამა შემუშავდა პროექტის საერთაშორისო კონსორციუმის მიერ ქართველი და უცხოელი პარტნიორების მონაწილეობით. შრომის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ევროკავშირის დირექტივები მოიცავს ლაბორატორიული უსაფრთხოების საკითხებს, რომლებიც ითვალისწინებს სხვადასხვა სახის საფრთხეებთან და რისკებთან (ბიოლოგიური, ქიმიური, ფიზიკური) დაკავშირებულ ასპექტებს. სოფლის მეურნეობის, სურსათის ხარისხისა და ჯანდაცვის სფეროები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, უნდა უზრუნველყოფდნენ მაღალი ხარისხის პროდუქტებისა და სერვისების მიწოდებას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული როლი ენიჭებათ ქვეყანაში მოქმედ ტესტირებისა და დიაგნოსტიკური ლაბორატორიების უსაფრთხო და საიმედო მუშაობას, მით უმეტეს დღევანდელი გამოწვევების ფონზე, მათ შორის COVID 19-ის პანდემია და სხვა. ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საქმიანობა სხვა ფაქტორებთან ერთად უზრუნველყოფილი უნდა იქნას მაღალკვალიფიციური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების გზით.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს ყველა საჭირო რესურსი გააჩნია, მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური, იმისათვის, რომ წვლილი შეიტანოს ლაბორატორიულ საქმიანობაში ჩართული პერსონალის პროფესიულ განვითარებაში წარმოდგენილი პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების გზით. ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ფარგლებში 2021 წლის ივლისში წარმატებით განხორციელდა ტრენერთა მომზადების კურსები, შეიქმნა ქართულენოვანი სახელმძღვანელო და მოეწყო სასწავლო ლაბორატორია.

დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს წერილი, რომ წარმოდგენილი პროგრამა სრულად პასუხობს დღეს

არსებულ გამოწვევებს და შეფასებულია დადებითად, შესაბამისად წინააღმდეგი არ არის, რომ დაწესებულებამ განახორციელოს წარმოდგენილი პროგრამა (№02/2786 17/02/2022).

წარმოდგენილი იქნა აგრეთვე მემორანდუმი სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, მთავარ სამიზნე რეგიონებში (თბილისი, იმერეთი, აჭარა, კახეთი) სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობას. ასევე შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/განხორციელებას შესაბამის ღონისძიებათა გამოყენების გზით, მემორანდუმი დათარიღებულია 2021 წლის 19 მაისს, მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 4 წლის ვადით.

დარგის ექსპერტი ასევე შეეხო სხვა ქვესტანდარტებს და აღნიშნა, რომ სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

რაც შეეხება პროგრამაზე დაშვების წინაპირობას: პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საბუნებისმეტყველო, სიცოცხლის შემსწავლელი, გამოყენებითი ბიომეცნიერების, ბიოტექნოლოგიის, გარემოს დაცვის, აგრარული, სოფლის მეურნეობის, მედიცინის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფარმაციის, ფარმაკოლოგიის მიმართულებებით ან/და ლაბორატორიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ პროფესიულ კვალიფიკაციას (შემდეგი მიმართულებით: ნივთიერებებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტი; ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტი; ქიმიური და კვების მრეწველობის უსაფრთხოების სპეციალისტი; ქიმიური წარმოების სპეციალისტი; ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი; სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორი; ფარმაცია და ფარმაციის თანაშემწე; ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი). აპლიკანტი ჩამოთვლილი აკადემიური ხარისხიდან/პროფესიული კვალიფიკაციიდან უნდა ფლობდეს ერთ-ერთს. აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა გასაუბრება და გამოცდა. დაწესებულებამ წარმოადგინა რექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძ. №01-04/22, 16/03/2022) დოკუმენტი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებულია დოკუმენტი - „პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებზე აპლიკანტების შერჩევის, შეფასების პროცედურებისა და ჩარიცხვის წესი“, დოკუმენტში გაწერილია თუ როგორ ხდება უნივერსიტეტში მიღების გამოცხადება/რეგისტრაცია, აპლიკანტთა შერჩევა (მუხლი 4, 6), აპლიკანტთა შერჩევა გულისხმობს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასებას.

როგორც ზემოთ აღნიშნა, **2.4 ქვესტანდარტი** დარღვეულია.

დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტაცია მსმენელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, კერძოდ

სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტი №21 – 2022 წლის 18 თებერვლის №21 სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტის შესაბამისად დადგინდა, რომ დაწესებულების №5 კორპუსის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 18 აპრილის MES 9 22 0000398686 წერილი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ მე-5 კორპუსში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრისათვის დაგეგმილი ღონისძიებების ჩამონათვალის შესახებ და დანართი (დაგეგმილი ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელშიც გაწერილია, რომ დაგეგმილი ღონისძიებებიდან 5 შენიშვნა შესრულებულია, ხოლო 5 შენიშვნის შესრულება დაგეგმილია 2022- 2023 წლებში).

ამ საკითხთან დაკავშირებით ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა დოკუმენტაცია და ფოტოები სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით, რომელიც გადაეგზავნა საბჭოს,

წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად დაწესებულებას ვიზიტის დროს დაფიქსირებული ხარვეზები გამოსწორებული აქვს.

ამის შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ /01363/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 8**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 212693049) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება /01363/.

საბჭოს სხდომა დასრულდა 13:15 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების  
მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების  
მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ზაქარეიშვილი მარიკა



დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01379	გერიატრიული ასისტენტი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	8	ქართული	15	ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. №26

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01363	ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	4	ქართული	20	ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59